1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
janelidzegulnara08@gtu.ge, meparishvilbadri08@gtu.ge

beridzenino5@gmail.com

რეზიუმე

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფორსმაჟორულ პირობებში, აუცილებელი გახდა საგანმანათლებლო სისტემის დროებით სრული გადასვლა ონლაინ-სწავლებაზე. ქვეყანაში დისტანციური განათლების სისტემის ოპერატიული დანერგვა დაკავშირებულია როგორც მასში მონაწილე ადამიანთა უნარ-ჩვევების ადაპტაციასთან, ისე სისტემურ ცვლილებებთან. ელექტრონული სწავლების ტრადიციული სისტემები ვეღარ უმკლავდება ინფორმაციულ რესურსებზე და ტექნოლოგიებზე წვდომის გაზრდილ მოთხოვნებს. ამდენად, დღის წესრიგში დგება უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობა, კერძოდ, მონაცემთა ბაზებისა და დიდი მონაცემების სისტემების ინტეგრირების საკითხი.

მოხსენებაში განხილულია სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემების ორმხრივი კონვერტირების პრობლემა და მისი გადაწყვეტა Hadoop-ის ეკოსისტემის კომპონენტებისა და რელაციური მონაცემთა ბაზების ინტეგრირებული გამოყენებით.

წარმოდგენილია Apache Sqoop ინსტრუმენტის შესაძლებლობები აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად. შემუშავებულია ოთხი დონისგან შედგენილი ონლაინ სწავლების სისტემა, რომელშიც, კლასიკურისგან განსხვავებით, ინტეგრირებულია დიდი მონაცემები და ღრუბლოვანი გამოთვლები. წარმოდგენილია ონლაინ სისტემაში დიდი მონაცემების დამუშავების პროცესის ძირითადი ეტაპები, ასევე მონაცემთა მასივებთან მუშაობის მეთოდოლოგია.

დიდი მონაცემების ანალიტიკა Covid19 პანდემიასთან ბრძოლაში

გულნარა ჯანელიძე, ალბერტ მირიანაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
gulnarajanelidze08@gtu.ge, unami1996@gmail.com

რეზიუმე

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო ადამიანის ცხოვრება მრავალ ასპექტში და შექმნა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. პანდემიის პირობებით გამოწვეული კრიზისების მენეჯმენტში მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა ტელეკომუნიკაციურმა და ანალიტიკურმა სისტემებმა.

ეპიდემიის აფეთქებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევითმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ დიდი მონაცემების ანალიტიკის მეთოდებს, როგორცაა ღრმა ანალიზი (ე.წ. ღრმა ბოლცმანის მანქანა, ფარული მარკოვის მოდელი, ღრმა ნეირონული ქსელი), ასევე პარალელურ გამოთვლებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოხსენებაში განხილულია COVID-19 ძირითადი სიმპტომების სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, კლასიფიკაციისა და კლასტერიზაციის ალგორითმების, მანქანური სწავლებისა და ღრმა სწავლების თანამედროვე მიდგომების გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა დაავადების ადრეული დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების თვალსაზრისით.

МОДЕЛИРОВАНИЕ РАСПРЕДЕЛЕННЫХ ОБЪЕКТОВ

Нино Мchedlishvili, Нодар Нариманашвили
Грузинский Технический Университет
nino.mchedlishvili@gtu.ge, n.narimanashvili@gtu.ge

Резюме

В докладе обсуждается вопрос моделирования объектов с распределенными параметрами, решения описывающих эти объекты

дифференциальных уравнений в частных производных, рассматриваются технические трудности при идентификации таких объектов.

Представлен, выделенный среди множества программных обеспечений, пакет PDE Toolbox, представляющийся расширением компьютерной моделирующей системы Matlab/Simulink. Пакет имеет множество возможностей для исследования и моделирования систем с распределенными параметрами, для решения дифференциальных уравнений в частных производных.

Пакет имеет графический интерфейс, позволяющий довольно просто моделировать распределенные объекты, получать эффектные изображения визуализации результатов, а также множество функции, с помощью которых составляется код программы моделирования и решения многочисленных прикладных задач в указанной области.

MANET-ის ენერგოეფექტურობა და საიმედოობა

ლაშა ნოზაძე, ნანი არაბული

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Inozadze333@gmail.com, n.arabuli@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია უკაბელო კომუნიკაციის ყველაზე მოქნილი და მარტივი მეთოდი. MANET (Mobile Ad-hoc Network) - მობილური მიზნობრივი ქსელი - არის დეცენტრალიზებული ტიპის ქსელი, სადაც თითოეული კვანძი ასრულებს, როგორც ჰოსტის (Host), ისე როუტერის ფუნქციას. ნაშრომში გადმოცემულია MANET სისტემის ძირითადი მახასიათებლებისა და კრიტერიუმების ანალიზი, თუ რა დადებითი და უარყოფითი მაჩვენებლები აქვს ამ ტიპის ქსელს. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ენერგოეფექტურობასა და საიმედოობაზე, რაც არის ის საკვანძო საკითხები, რომლებიც აქილევსის ქუსლის როლს ასრულებს მობილური ქსელების (და არამარტო) განვითარებაში და განსაზღვრავს ქსელის სიცოცხლისუნარიანობას და მისადმი სანდოობას.

ობიექტზე ორიენტირებული მიდგომა ხარისხის მენეჯმენტში

ნონა ოთხოზორია, თამარ მიშელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
n.otkhozoria@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია ხარისხის მენეჯმენტში ობიექტზე ორიენტირებული მიდგომის ეფექტურობა და აქტუალობა. ნაჩვენებია, რომ ეს მოდელი წარმოადგენს ხარისხის მართვის სისტემების ვიზუალურ და პრაქტიკულ მოდელს, სადაც თვალნათლივ ჩანს სისტემის სტრუქტურა, სისტემის ქცევა და მისი ელემენტები, ასევე ის შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული სისტემის მონიტორინგისა და კვლევისათვის.

გაზომვის ხარისხის შეფასება

ირინა ჩხეიძე, ვანო ოთხოზორია,
მელეა ნარჩემაშვილი, შორენა ხორავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
i.chkheidze@gtu.ge, v.otkhozoria@gtu.ge, m.narchemashvili@gtu.ge,
sh.khorava@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია გაზომვის ხარისხის შეფასების ამოცანები. ექსპერიმენტულად განსაზღვრულია გაზომვის ხარისხის მთავარი მაჩვენებლის – გასაზომი სიდიდის წერტილოვანი შეფასების განუსაზღვრელობის დამოკიდებულება ჩატარებული ცდების რაოდენობაზე. კვლევის შედეგად დადგენილია გაზომვის ხარისხის განმსაზღვრელი პარამეტრები – ცდების რაოდენობა, ნდობის ალბათობა და სიდიდის ალბათობის განაწილების კანონის სახე.

ლაბორატორიათაშორისი გამოცდების ჩატარების მეთოდის ბეტონის კუბის კუმშვის სიმტკიცის დასადგენად

**ნოდარ აბელაშვილი, ნონა ოთხოზორია,
გიორგი მერებაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
n.abelashvili@gtu.ge, n.otkhozoria@gtu.ge, g.merebashvili@gtu.ge

რეზიუმე

კვალიფიკაციის ექსპერიმენტული შეფასების ლაბორატორიათა-შორისი გამოცდების ჩატარება ლაბორატორიული კვლევების ხარისხის უზრუნველყოფისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მოხსენებაში განხილულია ბეტონის კუბის კუმშვის სიმტკიცის დადგენის ლაბორატორიათაშორისი გამოცდების სპეციფიკა და შემოთავაზებულია გამოცდების ჩატარების და შედეგების შეფასების კრიტერიუმები.

უნიფიცირებულ პროცესში ბიზნეს-პროცესების ანალიზისას მართვის ნაკადების მოდელირება

თეიმურაზ სუხიაშვილი, ირაკლი შურღაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
sukhiashviliteimuraz08@gtu.ge, irakli-shurugaia@mail.ru

რეზიუმე

განხილულია პროგრამული სისტემის დამუშავების უნიფიცირებული პროცესის ანალიზის ეტაპზე მოთხოვნებს შორის მართვის ნაკადების მოდელირების საშუალებები UML ტექნოლოგიის საფუძველზე. წარმოდგენილია ანალიზისას UML2-ში ბიზნეს-პროცესების მოდელირების სრულიად ახალი სემანტიკა, რომელიც ბაზირდება პეტრის ქსელების ტექნოლოგიაზე.

ეს უზრუნველყოფს მეტ მოქნილობას სხვადასხვა ტიპის ნაკადების მოდელირებისას მათი შემდგომი პროგრამული რეალიზაციის თვალსაზრისით.

გამოყენებით შემთხვევებს (პრეცედენტებს) შორის მართვის ნაკადების მოდელირების საშუალებები აპრობირებული და ტესტირებულია მრავალი საპრობლემო სფეროს ბიზნეს-პროცესის მართვისათვის.

მულტისერვისული ქსელის თავისებურებები და ტელეტრაფიკი თეორიის კლასიკური შედეგების გამოყენების შესაძლებლობა

ელვირა ბჟინავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
elvirabzhinava@gmail.com

რეზიუმე

განალიზებულია მოქმედი სატელეკომუნიკაციო სისტემის სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე, რამდენად შესაძლებელია ტელეტრაფიკის თეორიის კლასიკური შედეგების გამოყენება, ანუ მოთხოვნათა ნაკადების ერთგვაროვან ჯგუფებად დაშვება. უპირატესობა ეძლევა „ბერნული-ჰუასონი-პასკალის“ მოდელის გამოყენებას, რაც იძლევა საშუალებას განვიხილოთ მოთხოვნათა ნაკადის პარამეტრების არსებული კომბინაცია და მოვახდინოთ რეალური ნაკადის რეკონსტრუქცია ნაკადის ინტენსიურობისა და შემჭიდროების კოეფიციენტის საფუძველზე.

MEDIA- AND DIGITAL TECHNOLOGIES "KOVID 19" PANDEMIC IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION AND FRANCE ON THE ROAD TO PREVENTION

Diana Chankotadze

Georgian Technical University
dchankotadze@yahoo.fr

Abstract

The history of the "human-machine" interaction spans many years. Following in the footsteps of the history and development of media technologies, changes in the daily life of mankind are also noticeable, and in a European country like France, the field of medicine and media is creating the latest tandem to eliminate the problem. In the world of globalization, the interdependence of media technologies, man and machine, or the virtual world, which is gradually becoming closer to reality with the development of computer graphics, has posed a significant threat to humanity. The rapprochement of people on a global scale in the virtual

world, on the one hand, made life easier, and on the other hand, ostensibly against the background of this closeness, led to their complete disconnection, disruption and collapse of physical human relationships. A number of efforts are being made to prevent threats to the younger generations, including in terms of raising medical awareness, although the pandemic that has spread around the world today has further plagued humanity in the virtual world and media technologies.

„მედია- და ციფრული-ტექნოლოგიები „კოვიდ19“-პანდემიის გლობალიზაციის პირობებში და საფრანგეთი პრევენციურების გზაზე“ - სტატია მომზადდა პარიზში, უახლეს ფრანგულ მონაცემებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობით არის შესწავლილი საკითხი პედიატრიისა და ოფთალმოლოგიის მხრიდან. „ადამიანის და მანქანის ურთიერთობის პრობლემატიკის“ შესახებ.

ჰიბრიდული მობილური პროგრამირების უპირატესობები

გიორგი კაკაშვილი

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
giorgikakashvili1@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში 3.5 მილიარდზე მეტი მობილური ტელეფონის მომხმარებელია. შესაბამისად, ყოველდღიურად იზრდება მობილური აპლიკაციების ჯამური რაოდენობა.

ბიზნესსისტემის აპლიკაციები უფრო სწრაფი გზაა ფართო აუდიტორიასთან დასაკავშირებლად. თუმცა მათ შესაქმნელად საუკეთესო პლატფორმის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არც თუ ისე მარტივია. ხშირად განიხილება სხვადასხვა ვარიანტები, როგორცაა native app and hybrid app დეველოპმენტი. სწორი ვარიანტის შერჩევა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის: პროექტის ვადები, პროექტის ბიუჯეტი, არსებული გუნდის გამოცდილება ამა თუ იმ ტექნოლოგიასთან მიმართებით და, რაც მთავარია, სამიზნე აუდიტორია.

დღეისათვის კომპანიების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ჰიბრიდულ მობილურ პროგრამირებას, რადგან ერთი კოდური ბაზიდან შესაძლებელია აპლიკაცია გაეშვას ყველა მობილურ ოპერაციულ სისტემაზე, ეს იქნება Android თუ iOS. ჰიბრიდული

მეთოდის გამოყენება დეველოპერებს უადვილებს აპლიკაციების შექმნას, მათ უწევთ მხოლოდ ერთი კოდის დაწერა ყველა სახის მობილური ინტერფეისისთვის, რაც ასევე იწვევს სამუშაო დროის ეკონომიას. ჰიბრიდული მეთოდით აპლიკაციების შექმნა არის მობილური პროგრამირების მიდგომა, აპლიკაციების შემუშავების პროცესი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევქმნათ და გამოვაქვეყნოთ ისინი ნებისმიერი მწარმოებლის ნებისმიერი მობილური ტელეფონისთვის.

პროგრამული უზრუნველყოფის შეფასების საკითხები

მედეა ბალიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
medeabal@mail.ru

რეზიუმე

განხილულია პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის მართვის ზოგიერთი პრობლემა, კერძოდ, მისი ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული. მოყვანილია პროგრამული აპლიკაციების ხარისხის უზრუნველყოფისა და სერტიფიკაციის საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია, როგორცაა: ISCB; ISTQB®, Tmap, „სოგეთი ჯგუფი" და ა.შ.

ვინაიდან ორგანიზაციები ძირითადად ითხოვს არა მარტო პროგრამული პროდუქტის ხარისხის, არამედ ტესტირების ჩამტარებული სპეციალისტების კომპეტენტურობის დამადასტურებელ სერტიფიკატებს, მოყვანილია ინფორმაცია ტესტირების ჩამტარებული სპეციალისტების კომპეტენტურობის დამადასტურებელი ორგანოს შესახებ, როგორცაა CSTE–პროგრამული უზრუნველყოფის სერტიფიცირებული ტესტერი. მრავალი ორგანიზაცია აცნობიერებს, რომ IT პროდუქტების ხარისხი წარმატებული ბიზნესის კრიტიკული ფაქტორია. პროგრამული უზრუნველყოფის სწორად დამუშავების პროცესი აუცილებელია რისკების კონტროლისა და მაღალი ხარისხის პროგრამული უზრუნველყოფის მისაღებად.

**კომპლექსური ცვლადის რაციონალური ფუნქციის
უმარტივეს წილადებად დაშლის ერთი მეთოდის შესახებ**

ბორის მასპინძელაშვილი, ვალერი ტაკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
maspindzelashviliboris08#gtu.ge, v.takashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია კომპლექსური ცვლადის რაციონალური ფუნქციის უმარტივეს წილადებად დაშლის ახალი მეთოდი. მისი გამოყენებით დაშლილია სხვადასხვა სახის რაციონალური ფუნქციები, გამოთვლილია რაციონალური ფუნქციის ინტეგრალი.

**პირამიდის ფუძის წიბოსთან ორწახნაგა კუთხეების
ბისექტრისების განტოლებების შედგენა და იმის დადგენა,
თუ რომელი ბისექტრისა გაკვეთს პირამიდის არეს**

ბორის მასპინძელაშვილი, ვალერი ტაკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
maspindzelashviliboris08#gtu.ge, v.takashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია ანალიზური გეომეტრიის ახალი ამოცანა, როდესაც ცნობილია პირამიდის წვეროების კოორდინატები, შედგენილია ფუძის წიბოსთან ორწახნაგა კუთხეების ბისექტრისების განტოლებები და დადგენილია რომელი ბისექტრისა გაკვეთს პირამიდის არეს. მოყვანილია პრაქტიკული მაგალითი.

შინაური ფრინველების კვების ავტომატური კონსტრუქციები

გურამ მურჯიკნელი, მარინე ქოზაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

gurami.murjikneli@gtu.ge, kozashvilimarine@gmail.com

რეზიუმე

შინაური ფრინველების კვება მოითხოვს დიდ დროს და არის საკმაოდ შრომატევადი. ამ სამუშაოს გასამარტივებლად შექმნილია სხვადასხვა ტიპის კვების საშუალებები, რომელთაგან ბევრი მათგანი დამზადებულია ქარხნული წესით. ხშირად გამოიყენება აგრეთვე თვითნაკეთი კვების მოწყობილობები.

დღეისათვის, ძირითადად გამოიყენება რამდენიმე ტიპის მოწყობილობა. ისინი შეიძლება დავყოთ შემდეგ ძირითად ჯგუფებად: ბუნკერული, ვაკუუმური, მილისმაგვარი და დროის მიხედვით რეგულირებადი საკვები მოწყობილობები. არსებობს აგრეთვე მათი ნაირსახეობებიც.

ბუნკერული ტიპის მოწყობილობები გამოირჩევა სიმარტივით და დამზადების სიიაფით, თუმცა მას დადებით მხარეებთან ერთად გააჩნია ხარვეზებიც. დადებით მხარეებს მიეკუთვნება არახშირი მომსახურება, კონსტრუქციის სიმარტივე და სხვ., ხოლო ხარვეზებია - საკვების გადახარჯვები, ბუნკერის დანესტიანება და სხვ.

ვაკუუმური ტიპის კვების მოწყობილობა განსხვავდება ბუნკერულისაგან ჰერმეტიკული კორპუსით, რაც იცავს კორპუსს მტვრისა და დანესტიანებისაგან, არ ხდება აგრეთვე საკვების დაბინძურება.

მილისმაგვარი კვების მოწყობილობა გამოიყენება დიდი რაოდენობის ფრინველის კვებისთვის, რაც ხორციელდება მილში ხვრელების დიდი რაოდენობით.

დროში რეგულირებადი კვების მოწყობილობა ტაიმერით – *ავტომატური კონსტრუქციაა*, რომელიც გვაძლევს საკვების განსაზღვრულ პორციას დროის გარკვეულ მონაკვეთში და შეუძლია იმუშაოს ავტონომიურ რეჟიმში – როგორც ბუნკერულ, ისე ვაკუუმურ და მილისმაგვარ მოწყობილობებთან ერთობლიობაში.

მოხსენების მიზანია მეფრინველეობის ფერმებში საკვების მიწოდების პროცესის ავტომატიზაციის მოწყობილობის მართვა და კონსტრუქციული გადაწყვეტა.

ИНФОРМАЦИОННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ НА ОСНОВЕ ПРОГРАММНОГО КОМПЛЕКСА „ЛИРА САПР“

Джони Гигинейшвили, Игорь Тимченко, Елина Кристесиашвили
ООО „ПРОГРЕСИ“, Грузинский Технический Университет
johnnigig@gmail.com, igortimchenko@gmail.com, e.kristesiashvili@gtu.ge.

Резюме

Программный комплекс ЛИРА-САПР реализует прогрессивную технологию информационного моделирования зданий и сооружений (BIM) и ориентирован на проектирование и расчет строительных конструкций, реализуя сквозное проектирование строительных объектов от архитектора до сметчика. Реализация технологии BIM обеспечивается нативной связью (Двусторонняя связь данных (data-binding)) с другими архитектурными, расчетными, графическими и документирующими системами (САПФИР-3D, Revit, Tekla, SAP2000, AutoCAD, ArchiCAD, Advance Steel, BoCAD, Allplan, STARK ES, Gmsh и др.) на основе DXF, MDB, STP, SLI, MSH, STL, OBJ, IFC и др. файлов

ИНФОРМАЦИОННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ЗДАНИЙ И СОРУЖЕНИЙ НА СЛОЖНОМ РЕЛЬЕФЕ С ПРИМЕНЕНИЕМ ПРОГРАММ „САПФИР“, „ЛИРА САПР“ И НОВЫХ КОНСТРУКЦИОННЫХ МАТЕРИАЛОВ И ИЗДЕЛИЙ

**Джони Гигинейшвили, Георги Чикваидзе,
Давид Гигинейшвили, Темур Мацаберидзе**
ООО „ПРОГРЕСИ“, Грузинский Технический Университет,
johnnigig@gmail.com, g.chikvaidze@progresi.com.ge,
d.gigineishvili@progresi.com.ge, temur.matsaberidze@gmail.com

Резюме

Наше время характеризуется бурным развитием городов и обострением проблем, связанных с взаимоотношением природы и общества. Большая часть территории Грузии расположена на сложном рельефе. Одна из этих проблем – это развитие и расширение городов и населённых пунктов на территориях, неблагоприятных с точки зрения

сложного рельефа и инженерно-геологических условий. Значительная часть (~70%) территории Грузии представляет сложность для развития градостроительства из-за условий рельефа. В этом плане с сложным рельефом особенно выделяется г. Тбилиси, т.к. в условиях земельного дефицита сегодня именно такие участки привлекательны для строительных компаний и инвесторов.

Проектирование объектов строительства на сложном рельефе современном этапе характеризуется рядом факторов: большие объёмы и сжатые сроки для выполнения проектных работ, конструктивное разнообразие новых зданий и их градостроительного окружения инженерными коммуникациями и объектами инфраструктуры, необходимость строительства на неудобных площадках.

В связи с этим информационное компьютерное моделирование зданий и сооружений на сложном рельефе имеет особо актуальное значение. При строительстве на сложном рельефе, как правило, каждое здание или сооружение становится уникальным интеллектуальным произведением, и сквозное информационное компьютерное моделирование является актуальным для получения экономических эффектов с учетом оптимизации конструкции фундаментов и элементов каркаса с учетом их надёжности.

ატმოსფეროში PM2.5 და PM10-ის შემცველობის გამოკვლევა რეგულარული დაკვირვებებისა და მათემატიკური მოდელირების გზით (თბილისის მაგალითზე)

**ვეფხია კუხალაშვილი¹, ვალიდა სესაძე², ალექსანდრე სურმავა³ ,
ნათია გიგაური²**

1-ივ.ჯავახიშვილის თსუ-ს მ.ნოდის სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი,
2-სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
3-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

vepkhia.kkhalashvili@tsu.ge, v_sesadze@gtu.ge, aasurmava@yahoo.com,
natiagigauri18@yahoo.com

რეზიუმე

განალიზებულია ქ. თბილისში მდებარე სტაციონარული ავტომატური სადამკვირვებლო პუნქტების მონაცემები, PM-ნაწილაკების კონცენტრაციები. შეფასებულია მათი ყოველთვიური მაქსიმალური,

მინიმალური და საშუალო მნიშვნელობები. ექსპერიმენტული გაზომვების საფუძველზე აგებულია თბილისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ატმოსფერულ ჰაერში PM2.5 და PM10-ის კონცენტრაციების სვეტური დიაგრამა.

გამოვლენილია მაქსიმალური და მინიმალური დაბინძურებული უბნები და ნაჩვენებია მათი კონცენტრაციები. მოდელირებულია PM10-ის გავრცელების პროცესი ფონური სტაციონარული სუსტი დასავლეთის ქარის შემთხვევაში. დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ქალაქის ძირითად ავტომაგისტრალზე და ცენტრალურ ქუჩებზე მოძრავი ავტოტრანსპორტიდან გამოფრქვეული ნაწილაკები. მიღებულია ვიზუალური სურათები PM10-ის გავრცელების არეალისა და კონცენტრაციების შესახებ.

ინფორმაციული შეტევის ტიპების ანალიზი

მალხაზ სულაშვილი, გურამ ივანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
msulashvili@yahoo.com, ivanishvili.guram@gmail.com

რეზიუმე

მოსხენება ეხმიანება ქვეყნის სახელმწიფო და კერძო სექტორების ინფორმაციული უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს; იმ გამოწვევებს, რომლებიც არსებობს დღესათვის, როგორცაა: ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოება და ეკონომიკური პროცესების დაცვა ინფორმაციულ დონეზე. თუ რა ხელისშემშლელი ფაქტორები შეიძლება არსებობდეს და როგორ შეიძლება მათი გადაწყვეტა. ჩვენ შევეცდებით ამ საკითხებზე პასუხების გაცემას. ასევე ყურადღება გამახვილებული იქნება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, როგორცაა სოციალური ინჟინერია, სადაც კვლევის საფუძველზე ვასკვნით, რომ სოციალური კულტურა უდიდეს გავლენას ახდენს, როგორც ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენებზე, ასევე მის უსაფრთხოებაზე. განხილულია უსაფრთხოებაზე არასაკმარისი ინფორმაციის არსებობის პრობლემა, რაც თავის მხრივ იწვევს კიბერშეტევების მაღალ რისკს და საფრთხეს უქმნის ბიზნესპროცესების სწორი მიმართულებით სვლას.

MODELING OF BUSINESS PROCESSES FOR THE COMBINED SYSTEM OF PUBLISHING MARKETING AND CREATION OF TEXTUAL INFORMATION

Daviti Gogshelidze

Georgian Technical University

daviti1@mail.com

Abstract

The main goal of modeling business processes for the combined system of publishing marketing and creation of textual information, on one hand, is to help writers, scholars, translators, and other creators, both in the process of writing and realization, and on the other hand, to allow their users to connect different writers, subscribe new works directly from them, and read it in the single application. Therefore, we have studied some examples of what processes a scientific paper, or translation goes through in the working process, and created a business model, that should simplify these processes. We have classified the various scientific fields, and examined the types of diagrams, spreadsheets, or other specific elements used in the papers in these classes, to facilitate the writing process for writers working in different fields with a customized user interface.

მონაცემთა შიფრაციის თავისებურებანი

ნუგზარ ამილახვარი, გიორგი ამილახვარი, დიმიტრი კახნიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

n.amilakhvari@gtu.ge, g.amilakhvari@gmail.com, d.kakhniashvili@gtu.ge

რეზიუმე

მონაცემთა შიფრაციის მეთოდები ყოველთვის იყო მონაცემთა საცავების უსაფრთხოებისა და საიმედოობის გარანტი. სულ უფრო ხშირად ხორციელდება უსაფრთხოების დარღვევის მცდელობების ინციდენტები - მილიონობით მომხმარებლის პროფილები, საკრედიტო ბარათები და ელექტრონული ფოსტის მისამართები

კომპრომეტირებულია. მოხსენებაში მოცემულია პრაქტიკული რჩევები ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის უფრო ეფექტური და საიმედო დაცვისათვის ძირეული სრულფასოვანი გამოკვლევები და ანალიზის შედეგად მიღებული არგუმენტირებული დასკვნები. ჯგუფური პროცესების, ერთობლივი კვლევებისა და ანალიტიკური დასკვნების საფუძველზე მოყვანილია სერვერის ტიპის მიხედვით შიფრაციის მეთოდოლოგიის შერჩევა როგორც მონაცემთა საცავებისათვის, ასევე ფაილური სისტემებისათვის.

ბლონის პროცესის სამი ძირითადი მდგენლის მოდელირების ასპექტები

გურამ ჩაჩანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
guramchachanidze@yahoo.com

რეზიუმე

ჩვენი მეცნიერული კვლევების საფუძველზე დავასკვნით, რომ ქართულ საგანმანათლებლო სისტემას დღეისათვის არ გააჩნია აკადემიური მობილობის გადაწყვეტილების მიღების, განათლების ხარისხის მართვის და კრედიტების ოპტიმალური განაწილების სრულყოფილი ფორმალიზებული მოდელი და მისი რეალიზების ელექტრონული სისტემა.

ეს საკითხები პრობლემური ხასიათისაა, რაც შესაბამის დონეზე არ არის გამოკვლეული და შესწავლილი. ამიტომ, ამ პრობლემებისა და მათი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების მეცნიერულ კვლევებს, თეორიული და პრაქტიკული რჩევა-რეკომენდაციების შემუშავებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ და მეტად აქტუალურად მივიჩნევთ.

მოხსენებაში აკადემიური მობილობის პროცესი წარმოდგენილია ნაკადური მოდელის სახით, რომელიც მოიცავს მართვის სუბიექტს და მართვის ობიექტს. დამუშავებულია მობილობის ხელშემწყობი საგანმანათლებლო პროგრამების შედარების ფორმალიზებული

მოდელი და რეალიზების ალგორითმი. ასევე, გამოკვლეულია განათლების ხარისხის მართვის მთავარი პრობლემები, განსაზღვრულია ძირითადი ამოცანები და განათლების ხარისხის მართვის სისტემის განმსაზღვრელი პოტენციური და შედეგიანობის მაჩვენებელი. აგებულია სუბიექტის/ობიექტის ოპტიმალური სარგებლიანობის მათემატიკური მოდელი.

მოცემულია უმაღლესი განათლების საკრედიტო სისტემის მოდელის ფორმირების ძირითადი ფაქტორები, შემოთავაზებულია სასწავლო კრედიტების ოპტიმალური განაწილების მათემატიკური მოდელის დამუშავების ასპექტები.

ხელოვნური ინტელექტი და სამართალი

მაკა ტაბატაძე, ელენე ტურაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
m.tabatadze@gtu.ge Elleneturashvili@gmail.com

რეზიუმე

განხილულია ის გამოწვევები, რომლებიც ფართოდაა დაკავშირებული იურისპრუდენციის, სამართლის და ხელოვნური ინტელექტის ურთიერთმართებასთან. აღწერილია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების ფართოდ გამოყენების შესახებ. ეს ალგორითმები უმეტესად ისეთ საკითხებში გამოიყენება, როგორც არის წინასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები, გირაოს შეფარდება, ბრალდებულის მიერ მიმალვის რისკის შეფასება, რეციდივის ალბათობა და, ზოგ შემთხვევებში, ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დადგენა. ასევე მოყვანილია ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ცნობილი და გამოცდილი იურისტები. კვლევებისა და ტესტების სიზუსტე შეაფასა „სტენფორდის“, „დიუკისა“ და „USC-ის სამართლის სკოლის“ პროფესორებმა.

მაღალი წარმადობის კომპიუტერის ინფორმაციის შესანახი სისტემის ოპტიმიზაცია აპარატურული ამაჩქარებლების საშუალებით

ბექარ თიკაშვილი, არჩილ ფრანგიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
bekar.oikashvili@gtu.ge, a_prangi@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია დისკური ტიპის ინფორმაციის შესანახი სისტემები, მათი ნაირსახეობა, როგორც აპარატურულ, ისე პროგრამულ ნაწილში და მათი ოპტიმიზაციის გზები. ზოგადად, ნებისმიერი ციფრული გამოთვლითი სისტემის, იქნება ეს მობილური ტელეფონი თუ მაღალი წარმადობის სისტემა, ე.წ. სუპერკომპიუტერი, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ამა თუ იმ ტიპის ინფორმაციის შესანახი მოწყობილობები.

შშირად, კომპიუტერებისა და სერვერული ინფრასტრუქტურის შემთხვევაში, ესენია დისკური მეხსიერების სისტემები. როგორც ინფრასტრუქტურის დანარჩენი ნაწილი, აქაც სისტემა შედგება 2 კომპონენტის – აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფისაგან.

მონაცემთა ბაზების უსაფრთხოების ინოვაციური მიდგომები

ნუგზარ ამილახვარი, გია სურგულაძე, დიმიტრი კახნიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
n.amilakhvari@gtu.ge, g.surguladze@gtu.ge, d.kakhniashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია საფუძვლიანი და ინოვაციური კვლევის შედეგები მონაცემთა ბაზის დაცვის სხვადასხვა დონის მახასიათებლების თავისებურებებზე. მოცემულია პრაქტიკული რჩევები ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემის უფრო ეფექტური და საიმედო დაცვისათვის. დადასტურებულია, რომ მონაცემთა ბაზების

ადმინისტრატორი უბრალოდ ვეღარ შეძლებს ეფექტურად იმუშაოს მაღალსიჩქარიან დინამიურ გარემოში, რომელიც მოითხოვს DBRE მენტალიტეტს და, უფრო მეტიც, DBRE-მ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურებთან და ჯგუფებთან, როგორცაა Ops, InfoSec, დეველოპერები და სხვები, რომელთანაც განხორციელებული ჯგუფური პროცესები, ერთობლივი კვლევები და ანალიტიკური დასკვნები მოუტანს ორგანიზაციის კეთილდღეობას მხოლოდ სარგებელს. ასევე აღინიშნა, რომ საფრთხეების მოდელირებისას, მათი კლასიფიკაცია და პრიორიტეტი უნდა იყოს არსებული სტრუქტურირებული მიდგომების შესაბამისად, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს Microsoft-ის პროდუქტები: STRIDE (მოწყვლადობებისა და საფრთხეების კლასიფიკაციისათვის) და DREAD (პრიორიტეტების მინიჭებისათვის).

ბიზნესპროცესების მენეჯმენტის შეფასების 6-Sigma მეთოდი ლილი პეტრიაშვილი, მარინა ქაშიბაძე,

ნანა მადლაკელიძე, ია ირემაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

l.petriashvili@gtu.ge, m.kashibadze@gtu.ge, n.maglakelidze@gtu.ge

რეზიუმე

ბოლო პერიოდში პანდემიის გავლენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია კომპანიების სტრუქტურულ მემეჯმენტში. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ეპოქა გამოირჩევა ცვლილებების სწრაფი ტემპით, ნებისმიერი ორგანიზაციისათვის არსებითად მნიშვნელოვანია, ცვლილებების და გარე ფაქტორების ზემოქმედების არა მარტო იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება, არამედ წინასწარ განჭვრეტა და ზოგჯერ მათი გამოწვევაც კი.

ამ მიდგომის თანახმად ბიზნესპროცესების ეფექტურად მართვის მამოძრავებელი ძალა არის ბაზრის და, ზოგადად, გარემოს დინამიკური ანალიზი და შეფასება, რაც კომპანიებს ეხმარება აღიჭურვონ, მართვის ისეთი ინსტრუმენტებით, რომლებიც უზრუნველყოფს მათ წარმატებას სწრაფად ცვალებად გარემოში და კონკურენტულ ბრძოლაში.

აუცილებელი გახდა ციფრული ტრანსფორმაცია, რაც გადარჩენის ერთ-ერთ გზად დაისახა, რადგან ბოლო პერიოდში თითქმის ყველა სახის ოპერაციები გადავიდა ონლაინ ჭრილში. ჩატარებული კვლევების და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიებმა რომელთაც სწორად და დროულად მოახდინეს პროცესების რეინჟინერინგი და ეფექტურად გამოიყენეს საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის და არსებული მდგომარეობის შეფასების ეფექტური მეთოდები, მით უფრო შეამცირეს გაკოტრების რისკების ალბათობა. რაც უფრო მეტად არის კომპანია ონლაინ სერვისების მომხმარებელი და ონლაინ სივრცეში ინტეგრირებული, მით უფრო მეტად იზრდება საიმედოობის შეფასება და უსაფრთხოების რისკები. ამგვარად, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და მათი გამოყენების პროცესს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კომპანიის სტრატეგიულ და ტაქტიკურ განვითარებაში.

თანამედროვე სამენეჯმენტო ინფორმაციული სისტემების დანერგვა საქართველოს შემდგომი განვითარებისთვის

ნატალი სიდამონიძე, ლევან ჯიქიძე, ალექსანდრე ბენაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
natasidamonidze@gmail.com, levan@gtu.ge,
sbenashvili20@gmail.com

რეზიუმე

განხილულია და დასაბუთებული ჩვენ ქვეყანაში თანამედროვე ინფორმაციული სისტემების დანერგვის აუცილებლობა, რაც განპირობებულია ამჟამად შემორჩენილი და გამოყენებული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავების და ანალიზის მოძველებული პოსტსაბჭოური სისტემებით. მაგალითისათვის.

მოხსენებაში წარმოდგენილია ისეთი სისტემური პრობლემა, როგორცაა ქვეყნის ხორბლით უზრუნველყოფა და მისი რეალიზაციის თანამედროვე ინფორმაციული ალგორითმი. ამავდროულად სქემის სახით მოცემულია სხვა დარგების სტრატეგიული განვითარების უზრუნველყოფის მხარდამჭერი ინფორმაციული პლატფორმა, რომელზედაც, მონაცემთა ბაზის შექმნის და რეალიზაციის საფუძველზე, უნდა აიგოს შესაბამისი მიზნობრივი ალგორითმები.

Skylake პროცესორი - საუკეთესო გადაწყვეტა მულტიმედია კომპიუტერისთვის

ალექსანდრე ბენაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

sbenashvili20@gmail.com

რეზიუმე

განხილულია Skylake მიკროარქიტექტურის ძირითადი უპირატესობები წინამორბედ მიკროარქიტექტურებთან შედარებით.

გაკეთებულია Skylake, Haswell, Broadwell და Sandy Bridge პროცესორების მახასიათებლების შედარებითი ანალიზი.

წარმოდგენილია შესაბამისი ბენჩმარკები. დადასტურებულია Skylake პროცესორების გამოყენების უპირატესობა მულტიმედია კომპიუტერებში, რასაც ვერ ვიტყვით სტანდარტულ კომპიუტერებზე.

ქალაქის ფუნქციურ-სივრცული სტრუქტურის ანალიზი არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის საფუძველზე

მერაბ ახობაძე, ელგუჯა კურცხალია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

m.akhobadze@gtu.ge, e.kurtskhalia@gtu.ge

რეზიუმე

სისტემების სტრუქტურის ანალიზისათვის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია Q ანალიზის მეთოდი, რომელსაც ფართო, პრაქტიკული გამოყენების სპექტრი აქვს. იგი გამოიყენება სოციალური, ეკონომიკური, ტექნიკური და სხვ. სისტემების მათემატიკური მოდელირებისა და მართვისათვის. მოხსენებაში განხილულია შესაბამისი საკითხები, კერძოდ, არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის საფუძველზე, გაფართოებულია Q -ანალიზის კლასიკური მეთოდი, აღნიშნული თეორიის საფუძველზე მოცემულია ალგორითმები Q -ანალიზის ძირითადი მახასიათებლების გამოსათვლელად.

საინვესტიციო პროცესების დინამიკური განსაკუთრებულობები

ნინო ვარძიაშვილი, მარია ბრეგვაძე, მაკა ქვლივიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

n.vardziashvili@gtu.ge, m.bregvadze@gtu.ge,

m.qvlividze@gtu.ge

რეზიუმე

თანამედროვე ეკონომიკა – სივრცული, ევოლუციური (შეუქცევადი) ეკონომიკაა. სივრცული ეკონომიკის დროს საქმე გვაქვს ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთმოქმედ დინამიკურ ეკონომიკურ პროცესებთან, რომლებიც მიმდინარეობს დროის სხვადასხვა მასშტაბებში. ამ პროცესების აღმოჩენა და მათზე დაკვირვება მეტად რთულია, როგორც წონასწორულ მდგომარეობაში, ასევე მეგასისტემასთან ურთიერთობისას. მოხსენებაში განხილულია შესაბამისი კვლევის შედეგები, კერძოდ, ენტროპიის მაქსიმიზაციის პრინციპის საფუძველზე დადგენილია სივრცული ევოლუციური სისტემების განსაკუთრებულ მდგომარეობათა არეები და წერტილები. ეს ინვესტიორებს საშუალებას აძლევს მიიღონ ოპტიმალური და მდგრადი გადაწყვეტილებები.

კიბერტექნოლოგიების გამოყენების რისკების ანალიზი და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები

**ავთანდილ ბარდაველიძე¹, ხათუნა ბარდაველიძე², ირაკლი
ბაშელეიშვილი¹**

1-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

2-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

bardaveli@yandex.ru, bardaveli54@mail.ru ,

basheleishvili.irakli@gmail.com

რეზიუმე

მოხსენების მიზანია პროფესიული უსაფრთხოების მართვის სისტემების მდგრადობის საკითხების კვლევა კიბერუსაფრთხის და

კიბერშეტევების კონტექსტში, რომლებიც 21-ე საუკუნის მთავარი საყურადღებო ატრიბუტი გახდა. წარმოდგენილი მიზნის მისაღწევად ფორმულირებული და გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:

- კიბერსაფრთხის მასშტაბების განსაზღვრა;
- კიბერშეტევების ძირითადი წყაროებისაგან დაცვის არსებული ტექნოლოგიის იდენტიფიცირება;
- კიბერუსაფრთხოების გავლენის ანალიზი პროფესიულ და კომპანიის უსაფრთხოებაზე;
- კიბერარაკომპენტურობის გავლენის ანალიზი მომხმარებლების და გარემოს უსაფრთხოებაზე.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

INTEGRATED INFORMATION INFRASTRUCTURE OF GEORGIAN HIGH EDUCATIONAL INSTITUTION

David Gulua¹, Ismail Yildiz², Gia Surguladze³

1-Business and Technologies University,

2-Ministry of Education Turkey, 3-Georgian Technical University

davit.gulua@btu.edu.ge, isnemeyi@hotmail.com, g.surguladze@gtu.ge

Abstract

The paper presents the peculiarities of building information systems for high educational institutions in Georgia. A multi-level model for elaborating such systems has been developed, which involves integrating the main, external and internal information processes into a single information infrastructure. The importance of close information communication between higher education institutions and state educational structures is emphasized, and the analysis of application programs used for servicing individual information processes, as well as providing inter-process communication, is made.

XBRL in regulatory business reporting – case of Pillar 3 report of the National Bank of Georgia

Tinatin Kachlishvili Rezo Beradze

Georgian Technical University

tiko.kachlishvili@gmail.com, r.beradze@iset.ge

Abstract

Business reporting has seen the colossal growth of importance in the modern world. Consequently, numerous ways of exchanging business reports have emerged. Transfer of information via spreadsheets is undoubtedly one of the most popular forms uniformly used worldwide. Although spreadsheets such as Excel are the most convenient form to read information easily, processing them by machine is a relatively challenging task. Furthermore, having no set of machine readable instructions of how to construct reporting forms and how to discover errors, makes them quite difficult for a machine to read without human intervention and consequently leaves them prone to errors.

The vulnerabilities in business reporting through spreadsheets has led the development of new technologies such as XBRL (Extensible Business Reporting Language). XBRL acts as an intermediary between business users and the computer, making it convenient for both parties to process and read information minimizing the room for errors. The article provides an example of how one particular business report could be exchanged using the XBRL with the emphasis on the architecture of the file. The authors provide the insights of the XBRL file processing and highlight the advantages it could bring to the business reporting.

საინფორმაციო სისტემების არქიტექტურის მართვა დისტრიბუციულ და მონოლითურ გადაწყვეტილებათა ბაზაზე

სოფიკო ქობულაშვილი, ეკატერინე თურქია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

ორგანიზაციის ბიზნესპროცესების მასშტაბისა და განვითარების შესაბამისი საინფორმაციო სისტემების არქიტექტურის დაგეგმვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი საკითხია, რაც დღეისათვის მეტ აქტუალურობას იძენს. საინფორმაციო სისტემების სწორი არქიტექტურა ორგანიზაციის ბიზნესპროცესების შეუფერხებელი მუშაობის ბაზისია, ამასთან ერთად იგი ხელს უწყობს საინფორმაციო სისტემების კომპლექსურობისა და მემკვიდრეობითი ხასიათის პრობლემების მინიმიზაციას.

მოხსენებაში განიხილება საინფორმაციო სისტემების არქიტექტურის სწორად განსაზღვრის მნიშვნელოვანი საკითხები სისტემების დაპროექტებისა და დიზაინის დაგეგმვის პროცესში. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილია დისტრიბუციული სისტემების არქიტექტურის თანამედროვე მიდგომები „მიკროსერვისული“ არქიტექტურის მაგალითზე და აღწერილია, „მონოლითური“ არქიტექტურის მქონე სისტემასთან შედარებით, მისი ფუნდამენტური განსხვავებები.

გაანალიზებულია დისტრიბუციული სისტემების უპირატესობების, სირთულეებისა და კომპლექსურობის ასპექტები. წარმოდგენილია სისტემის დაპროექტების ფაზაზე არქიტექტურული გადაწყვეტილებების ღრმა ანალიზის როლი და თანამედროვე მიდგომების გამოყენების უპირატესობები, რათა აცილებულ იქნეს სამომავლო პრობლემები სისტემის დიზაინში.

ინტერდისციპლინური მიდგომების ეფექტიანობა მეცნიერული კვლევებისა და სწავლების პროცესებში

გელა ღვინეფაძე, თორნიკე შავიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
gvinepadzegela@gmail.com, shavishvilitornike@gmail.com)

რეზიუმე

მეცნიერული კვლევებისა და სწავლების პროცესებში ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დაყრდნობის ტენდენცია წინა წლებშიც არსებობდა, მაგრამ იგი განსაკუთრებით რელიეფურად გამოიკვეთა ბოლო ხანებში. დღეს ამ მიდგომებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მეტად დიდი ყურადღება ექცევა, რათა აღნიშნული პროცესები წარიმართოს გაცილებით მეტი ორგანიზებულობით და ეფექტიანობით. დისციპლინათა შორის ასეთი კავშირების რეალიზების შთამბეჭდავი მაგალითია ინფორმატიკის დარგის „ექსპანსია“ აღნიშნულ სფეროებში. მოხსენებაში განიხილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტზე ამ მიმართულებით შესრულებული და მიმდინარე ზოგიერთი სამუშაო.

ელექტრონული სწავლება: აქტუალობა და გამოწვევები

თორნიკე შავიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
shavishvilitornike@gmail.com

რეზიუმე

პანდემიის პირობებში არცთუ იშვიათად ვხვდებით ტერმინს „ახალი ნორმა“. ასეთი ნორმების დამკვიდრება გამოიწვია ახალმა რეალობამ, რომლის შედეგებიც შეეხო ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროს. მაგრამ მათგან აქ ჩვენ ინტერესს წარმოადგენს განათლების დარგი და ახალი ნორმები სწორედ ამ მიმართულებით.

Covid-19 პანდემიამ განსაკუთრებით საჭირო გახდა შემდეგ გამოწვევაზე პასუხი - საჭირო გახდა სპეციალისტებს გაცილებით აქტიურად ეზრუნათ განათლების მიღების ახალი მეთოდების შემუშავებაზე. მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოიკვეთა ასეთი ტენდენცია: დღეს საგანმანათლებლო დაწესებულებები უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ შემდეგი მიმართულებით - ისინი პრაქტიკაში სულ უფრო აქტიურად იყენებენ ონლაინ პლატფორმებს, რათა შექმნილ პირობებშიც კი არ შეფერხდეს სტუდენტთა და მოსწავლეთა სწავლა-განათლების პროცესი.

ახალი სიმეტრიული Tweakable ბლოკური შიფრი

**ლევან ჯულაკიძე¹, ზურაბ ქოჩლაძე², თინათინ კაიშაური¹,
გიორგი მაისურაძე¹**

levan.julakidze@gmail.com, zurab.kochladze@tsu.ge,
t.kaishauri@gtu.ge, g.maisuradze@gtu.ge

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2-ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია თანამედროვე კრიპტოგრაფიის წარმოდგენა როგორც ქვაკუთხედი კომპიუტერსა და საკომუნიკაციო უსაფრთხოებას შორის. იგი ეფუძნება ისეთ მათემატიკურ ცნებებს, როგორიცაა: რიცხვთა თეორია, ალბათობის თეორია, მრავალწევრთა ალგებრა და ა.შ. ნაშრომში გადმოცემულია ახალი სიმეტრიული ალგორითმის აგების ორიგინალური მეთოდი. მის მისაღებად დამუშავებულ იქნა შესაბამისი მასალა, როგორიცაა: სიმეტრიული კრიპტოსისტემა და tweakable ბლოკური შიფრები. ასეთი ბლოკური შიფრის აგების პრობლემა განხილული და გადაწყვეტილია ჰილის ალგორითმის გამოყენებით, რაც განსაკუთრების ამალღებს მის სწრაფქმედებას.

ციფრული მოქალაქეობის ასპექტები

**ოლდა ხუციშვილი, თეა ხუციშვილი, ირმა კუცია,
ბესარიონ ციხელაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
o.khutsishvili@gtu.ge, t_khutsishvili@gtu.ge, B.Tsikhelashvili@gmail.com

რეზიუმე

განხილულია საკითხები, თუ რა უნდა იცოდნენ სტუდენტებმა ციფრული მოქალაქეობის შესახებ. ციფრული ტექნოლოგია სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. კომპიუტერი, ტელეფონი და სხვა ელექტრონული მოწყობილობები სასიცოცხლოდ აუცილებელ, მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს პანდემიის პირობებში. სტუდენტებისათვის აუცილებელია ციფრული სამყაროს წესების შესწავლა, რათა ჩამოყალიბდნენ უსაფრთხო და პასუხისმგებლობის მქონე ციფრულ მოქალაქეებად.

ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების დინამიკა

**ოლდა ხუციშვილი, თეა ხუციშვილი, თემურ მდივნიშვილი,
გიორგი სულაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
o.khutsishvili@gtu.ge, t_khutsishvili@gtu.ge, tmdivnishvili@bog.ge,
g.sulashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია 2020 წლის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ანალიზი და გავლენა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, საქართველოს ეკონომიკის მთავარი გამოწვევების ანალიზი გაცვლითი კურსის ცვლილების პირობებში. საქართველოს ფინანსური სისტემის მაღალი დოლარიზაციის გათვალისწინებით, ძირითად ინტერესს იწვევს ლარის დოლართან მიმართებაში ნომინალური კურსის მოკლევადიანი რყევა. ნაშრომის მიზანია გაცვლითი კურსის გავლენის შეფასება კოვიდ პანდემიის პირობებში. ანალიზისათვის გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების ავტომატიზებული მართვა და გამოყენებული ტექნოლოგიები

სოფიკო ჰაპავაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია სკოლის მოსწავლეების ონლაინ მონიტორინგის კომპიუტერული სისტემის აგების პროექტი. პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია სისტემა, რომელიც გაამარტივებს სასწავლო პროცესის მართვას და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს განვითარებასა და წინსვლაში. აღწერილია შესაბამისი სისტემის მოდულები და გამოყენებული ტექნოლოგიები. წარმოდგენილია გამოყენებული მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და ასევე, დასმული ამოცანის სწორად გადასაწყვეტად, გამოყენებული დომენზე ორიენტირებული დიზაინი. განხილულია კვლევის ობიექტის დიზაინის ფარგლებში გამოყენებული შრეები და მათ შორის კავშირები. აგრეთვე თუ რატომ არის ჩვენი ბიზნეს-ლოგიკისთვის დომენზე ორიენტირებული დიზაინის გამოყენება მეტად ხელსაყრელი. ასევე მიმდინარე პროცესების გასაუმჯობესებლად და უკეთ გასაანალიზებლად შემოთავაზებულია მანქანური დასწავლის მეთოდების გამოყენება. განვიხილავთ კონკრეტულ მაგალითებს, რომელთა დახმარებითაც შევძლებთ უკეთ წარმოვაჩინოთ გამოყენებული ტექნოლოგიების საჭიროება.

სწრაფი გადახდის აპარატები საქართველოში და მათი მართვის სისტემის დიზაინი

სოფიკო გოგოლაძე, თამარ ლომინაძე, მარიამ მარდიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

s_gogoladze@gtu.ge, t.lominadze@gtu.ge

რეზიუმე

მოხსენებაში გაანალიზებულია თვითმომსახურების ტერმინალები, მათი სახეები და გამოყენება საქართველოში. მოყვანილია მისი ბიზნესპროცესების ობიექტ-ორიენტირებული მოდულები, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს წარმატებული გადახდის ერთი

კონკრეტული ტრანზაქცია, მასში შემავალი თანმიმდევრული ოპერაციებით. ყურადღება გამახვილებულია ტერმინალის მართვის სისტემაზე (TMS), რომელიც არის მონაცემთა ბაზაზე დამყარებული ინტერფეისი, რითიც თვითმომსახურების ტერმინალების მხარდაჭერის ჯგუფის თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ უწყვეტი და შეუფერხებელი პროცესების უზრუნველსაყოფად.

ესაა სისტემა, რომელიც მათ სთავაზობს სასურველი მონაცემების ამოღებას ბაზიდან, მარტივად და სტანდარტული ფორმით წარმოდგენას. განხილულია მისი სხვადასხვა ლოგიკურად დაყოფილი ჩანართები და ძირითადი მაიდენტიფიცირებელი პარამეტრები. რითიც მარტივდება თითოეული ტერმინალის დისტანციური მონიტორინგი, გარკვეული ცვლილებების შეტანა. იგი ასევე საშუალებას გვაძლევს დავაგენერიროთ როგორც ტრანზაქციული, ასევე დაჯგუფებული რეპორტები.

**„სამმაგი სპირალის“ მოდელი ჰენრი იცკოვიცის მიხედვით:
„სახელმწიფო, ინდუსტრია, აკადემია“**

ლელა ჰაპავა, თამარ ლომინაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
lelapapava64@gmail.com, t.lominadze@gtu.ge

რეზიუმე

მოსხენებაში წარმოდგენილია სამი ინსტიტუცია: სახელმწიფო, ინდუსტრია, აკადემია მიისწრაფვის ურთიერთთანამშრომლობისაკენ. ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად, თითოეული ინსტიტუტი დამატებით, თავისთავზე ნაწილობრივ იღებს მეორის როლს. ამ მოდელის ჩარჩოში უნივერსიტეტი ხდება წარმოების ცენტრი, სადაც მიიღება პრაქტიკული ცოდნა და მოხდება მიღებული ცოდნის აქტიური გამოყენება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, ხოლო კურსდამთავრებულები ხდებიან პროფესიონალები არა მხოლოდ სპეციალიზებულ სფეროებში, არამედ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს.

ინოვაციური კომპონენტები წარმოიშობა ამ ურთიერთქმედებით და არა სახელმწიფოს ინიციატივით. ინსტიტუციები, რომლებსაც შეუძლია შეასრულოს არა მხოლოდ ტრადიციული ფუნქციები, ინოვაციების მთავარი წყაროებია.

ექსპერტების აზრით სამომავლო კოლაბორაციის მოდელი, იქნება *ოთხმაგი სპირალი*, ანუ უკვე მრავალგზის ნახსენებ სამ ინსტიტუტს დაემატება მეოთხე და უმნიშვნელოვანესი: სამოქალაქო საზოგადოება: როგორც ძირითადი მომხმარებელი ამ კოლაბორაციით მიღებული ეკონომიკური წარმატებისა და ეკონომიკური განვითარებისა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო კვლევის მიმართულებად მიგვაჩნია ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებაც და მისი როლი ზემოაღნიშნულპროცესებში.

მოთხოვნებისა და დავალებების მართვის სისტემა

ანზორი ქევხიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Akevkhishvili@gmail.com

რეზიუმე

განხილულია საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით მოთხოვნებისა და დავალებების სისტემის შემუშავებისა და გამართვის პრინციპები. მოყვანილია პროგრამული სტრუქტურა და ნაჩვენებია მოქმედების თანმიმდევრული სქემა. ასეთი პროგრამული უზრუნველყოფით შესაძლებელია ორგანიზაციაში დავალებების ეფექტურად მართვა და ავტომატიზაცია, მათი დროულად მიწოდება შესაბამის ერთეულებზე, შესრულების პრიორიტეტების განსაზღვრა და შესრულების პროცესის დაგეგმვა.

ბიზნესპროცესებისათვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ორგანიზაციის ესა თუ ის ნაწილი. ასე, რომ ყოველწლიური, კვარტალური, თვიური თუ დღიური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს და როგორ ხდება მათი შესრულება, ბევრად ამარტივებს შემდგომი ოპერაციების განხორციელებას.

ამრიგად აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებელია, წინასწარ გათვლილი პერიოდით ან არჩევითი პერიოდით, რეპორტის ამოღება და მისი გათვალისწინებით შემდგომი ბიზნეს პროცესის დაგეგმვა

აქტივობების მაგნიტური თვისებების თავისებურებათა ანალიზი

გივი კაპანაძე, ლალიტა დარჩიაშვილი, ზურაბ ჩაჩხიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

kanadzegivi@gmail.com, lalitadarchiashvili@gmail.com,

chachkhianizurab08@gtu.ge

რეზიუმე

წარმოდგენილია აქტივობების სტრუქტურული მდგომარეობისა და მაგნიტური თვისებების შედარებითი ანალიზი. ნაჩვენებია, რომ ელექტრონების კოლექტივიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აქტივობებისა და მათი ნაერთების მაგნიტურ თვისებებს. მაღალი რიგითი ნომრის აქტივობებში ვლინდება „აქტივობური შეკუმშვა“ 5f ელექტრონული შრის რადიუსის შემცირებასთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს ელექტრონების კოლექტივიზირებული მდგომარეობის ფორმირებას.

განალიზებულია ტემპერატურის, კრიტიკული ატომთაშორისი მანძილისა და სტრუქტურული მდგომარეობის წვლილი აქტივობების მაგნიტური თვისებების ფორმირებასა და მოდიფიცირებაში..

თერმულად დამუშავებული n-ტიპის სილიციუმის ელექტროფიზიკური თვისებები

მალხაზ ბიბილური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

bibiluri@gtu.ge

რეზიუმე

შესწავლილია მაღალტემპერატურული მოწვეების გავლენა ფოსფორით ლეგირებული მონოკრისტალური სილიციუმის მიკროსტრუქტურაზე, ელექტროფიზიკურ პარამეტრებსა და დინამიკურ განმტკიცებაზე.

გამოვლენილია კორელაცია მოწვის გავლენით ფორმირებულ დისლოკაციურ სტრუქტურისა და ელექტროფიზიკური პარამეტრების (დენის მატარებლების კონცენტრაცია, ძვრადობა) ცვლილებებს

შორის. ნაჩვენებია სტრუქტურის განმტკიცების ტენდენცია. კერძოდ, დადგენილი იქნა, რომ მოწვის ტემპერატურის ამაღლება 900°C-მდე იწვევს დისლოკაციების გარემომცველი მინარევების ატმოსფეროს კონცენტრაციის ამაღლებას.

ამის შედეგადაც ძლიერდება დისლოკაციების დამუხრუჭება. აღნიშნულის გამო ხორციელდება ძვრის დინამიკური მოდულის ამაღლება და მექანიკური განმტკიცება.

ევროპელი ისტორიოგრაფები გიორგი სააკაძის შესახებ

ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი, ლექსო ოთარაშვილი
გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი
phmouravi@gmail.com

რეზიუმე

ევროპელი ისტორიოგრაფების კვლევების საფუძველზე გიორგი სააკაძე სამშობლოში თუ საქართველოდან ირან-თურქეთში იძულებითი გადახვეწის დროს, სიკვდილის ბოლომდე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანია. იგი ერთგულია ქართველი ბაგრატიონი კანონიერი მეფეებისა... ევროპელ მოკავშირეებს, ქრისტიანული კოალიციის და თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქრისტიანული ევროკავშირის შექმნას სთავაზობს მუსულმანური აგრესიის წინააღმდეგ და ანტიირანული რევანშისტვის ემზადება, მტკიცედ იცავს ქრისტიანობას და სპეცრაზმშიც ქრისტიანი მეომრები ჰყავს. იგი ძალზედ მიღებული და სანდო პიროვნებაა მაშინდელი ევროპის პირველი პირების, მეფეების თუ რომის პაპისათვის და ევროპელი მისიონერების საშუალებით პირველ სარწმუნო ინფორმაციას საქართველოსა თუ აზიის ამ რეგიონის შესახებ, სწორედ გიორგი სააკაძე აწვდის ევროპას.

საინფორმაციო ომის ტექნოლოგიების ზოგიერთი ასპექტი

ზაზა ცოტნიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
tsotniashvilizaza12@gtu.ge

რეზიუმე

სულ უფრო აქტუალური ხდება საინფორმაციო ომის პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელთა განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის.

კიბერუსაფრთხოება და შესაბამისი ტექნოლოგიები სახელმწიფოს უშიშროების მნიშვნელოვან პლაცდარმად იქცა. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში სულ უფრო აქტუალურია ჰუმანური იარაღი. ინსტიტუციებისა თუ სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვან სიმიდღრეს და სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსს ინფორმაცია წარმოადგენს.

ის, ვინც ინფორმაციას ფლობს, ფლობს ასევე ძალაუფლებასაც. თუმცა, ინფორმაცია თავისთავად არაფერია, თუ მისი გავრცელების ინსტრუმენტები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ გაგაჩნია.

უკანასკნელ ხანს დაფიქსირდა მრავალი შემთხვევა, როდესაც ინტერნეტის და კომპიუტერული ვირუსების გამოყენებით მიზანმიმართულად დაზიანდა სხვადასხვა ქვეყნის და კომპანიის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა. კიბერომის მაგალითები უკვე მრავლად არის მსოფლიოში. ჩვენს უახლოეს სამეზობლოში კი პირველი ყველაზე ცნობილი და გახმაურებული ომი 2007 წელს, რუსეთსა და ესტონეთს შორის გაიმართა. საქართველომ გამოსცადა მნიშვნელოვანი კიბერშეტევები სახელმწიფო თუ კერძო სისტემებზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ჩვენს საზოგადოებას.

ამდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ მიმართულებით საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობა და შესაბამისი ტექნოლოგიებით და ადამიანური რესურსის მომზადებით თავდაცვისუნარიანობის გაზრდა.

მესხური საოჯახო ნივთი ფეშხუმი

თინა იველაშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tinaivelashvili@mail.ru

რეზიუმე

ქართული პურობისათვის განკუთვნილი იყო საგანგებო მრგვალი ფორმის სატრაპეზო მაგიდები სათანადო აღჭურვილობებით, რომელთა სახელწოდებებიც წერილობით წყაროებში ნაირგვარი ტერმინოლოგიითა ცნობილი (ფეშხუმი, ტაბლა, ტრაპეზი, ტაბაკი, ლანკანი, ხონჩა, სუფრა და ა.შ.).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში (შავშეთი, სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ტაო, კლარჯეთი) საუზმის, სადილისა თუ ვახშამის სუფრა ფეხდაბალ ტაბლაზე იშლებოდა, რომელსაც მოსახლეობა დღემდე *ფეშხუმის* სახელით მოიხსენიებს. საინტერესოა ის გარემოება, რომ საეკლესიო ინვენტარებში იმავე სახელწოდებით მოიხსენიებენ ძვირფასი ლითონის სადგარიან პატარა ლანგარს, რომელზედაც ლიტურგიის დროს სეფისკვერებს კვეთენ..

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი მნათობთა თაყვანისცემის სიმბოლურ გააზრებას უკავშირდება. ფეშხუმის მრგვალი ფორმა შეიძლება პურობის ხასიათით იყოს შეპირობებული. რომლის უშუალო დანიშნულებაა თანამოსუფრეთა შორის ისეთი ლოკალური წრე შეიქმნეს, რომელიც მათ ერთმანეთთან დაახლოებს.

მართვის ოპტიმიზაცია სამედიცინო სფეროში

ლევანი ჩუბინიძე, ციური ფხაკაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

777chubinidze@gmail.com, ciurifxakadze@yahoo.com

რეზიუმე

განხილულია სამედიცინო მენეჯმენტის სფეროს პროგრამული უზრუნველყოფა. მისი მიზანია მმართველს ჩამოუყალიბდეს ფართო ხედვა სხვადასხვა სახის სამედიცინო დაწესებულებების მართვის

პროცესებზე, მისცეს მას პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ჰოსპიტალური სექტორის სამედიცინო დაწესებულებების მართვის პროცესის შესახებ. გაშუქებულია სამედიცინო დაწესებულებების, როგორც ფინანსური მართვა, ასევე პაციენტების რეგისტრაცია, გადანაწილების ოპტიმიზაცია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, დახასიათებულია: ფინანსური მენეჯმენტი, ექიმთა და პაციენტთა ჯგუფის მენეჯმენტი. მაგალითად, როგორ მოხდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ოპერატიული მართვის სისტემის გაუმჯობესება, ლოდინის დროის შემცირება, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, ჯგუფური მუშაობის მართვა.

SCADA-სისტემის დანერგვა მილსაგნილაჟ საამქროში

ალექსანდრე კეკენაძე, შოთა გრიგოლაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
skekenadze@yahoo.com, shotagrigolashvili@gmail.com

რეზიუმე

განხილულია SCADA-ს (დისპეტჩერული მართვისა და მონაცემთა შეგროვების სისტემის) დანერგვა მეტალურგიაში, საგლინავი საამქროში, კერძოდ მისი ნაწილში, რომელიც მოიცავს მაკრატლების დაყენებას ჭრის მექანიზმებით და იგი გამოიყენება მეტალურგიაში საგლინავი და მილსაგნილავი მილების დასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ მართვის სისტემა (SCADA) დღემდე არაა დანერგილი საქართველოში არსებულ მეტალურგიაში, მისი გამოყენებით კი შესაძლებელია რესურსებისა და დანაკარგების შემცირება, ასევე ადამიანური შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა, რაც თავისთავად გაზრდის საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობას.

დრუბლოვან გამოთვლებზე დაფუძნებული ჭკვიანი ჯანდაცვის სისტემა

ალექსანდრე კეკენაძე, ცოტნე ქორჩილავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

skekenadze@yahoo.com, cotne.korchilava@gmail.com

რეზიუმე

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად აქტუალური გახდა „ჭკვიანი“ ჯანდაცვის (smart healthcare) კონცეფციის შემუშავება და დანერგვა. იგი იყენებს ახალი თაობის ისეთ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, როგორიცაა: ნივთების ინტერნეტი (IoT), დიდი მონაცემები, დრუბლოვანი გამოთვლები და ხელოვნური ინტელექტი. ჭკვიანი ჯანდაცვის სისტემის კონცეფციის დანერგვის მიზნით, მოხსენებაში, პირველ რიგში, განვიხილავთ იმ ძირითად ტექნოლოგიებს, რომლებიც ხელს უწყობს ჭკვიანი ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესებისა და მის ამჟამინდელ სტატუსს რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში. აქვე წარმოვადგენთ ჭკვიანი ჯანდაცვის პრობლემებს, ამ პრობლემის გადაჭრის ეფექტურ გზებს და მის სამომავლო განვითარების პერსპექტივებს.

მუნიციპალური მმართველობის სრულყოფა ცხელი ხაზის სერვისების ავტომატიზაციის საფუძველზე

ლია ტუღუში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

lia.tughushi@gmail.com

რეზიუმე

მუნიციპალურ ცხელ ხაზზე თავმოყრილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა რომ გახდეს ნებისმიერი მოქალაქისთვის პრიორიტეტული, საჭიროა სრულფასოვანი საინფორმაციო ბაზის შექმნა. მასთან ელექტრონული კავშირი უნდა დაამყაროს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტმა, რომელთა შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფს ბაზაში მუდმივად განახლებული ინფორმაციის ჩატვირთვას. აღნიშნული პროცესი მკვეთრად გაუმჯობესებს მოქალაქეთათვის მუნიციპალური სერვისის მიღების შესაძლებლობას, გახდის მას უფრო მარტივს და ხელმისაწვდომს.

ელექტრონული მმართველობის ფარგლებში ვინილავთ ორ მიმართულებას: ა) მოქალაქე ერთი ზარის პრინციპით მიიღებს ყველა სასურველ მომსახურებას და ბ) აღნიშნული მომსახურება უნდა მივიღოთ ელექტრონული კომუნიკაციის შედეგად.

დღემდე არსებული პრაქტიკით მოქალაქის მიერ მუნიციპალურ ცხელ ხაზზე ზარის განხორციელების შემთხვევაში ხდება ინფორმაციის რთულად მოძიება. ოპერატორისთვის სირთულეა შესაბამისი სამსახურის და შემსრულებლის განსაზღვრა და ასევე ზარის საშუალებით მისი გადაცემა. ასევე დადგენილია რესურსების და დროის ზედმეტად ხარჯვაც.

მოხსენების მიზანია მუნიციპალური ელექტრონული მმართველობის და სატელეფონო ზარის შერწყმის ამოცანის ფორმალიზაცია.

მოქალაქეთა მომსახურების დანერგვა „ერთი ზარის პრინციპით“. კერძოდ, მოქალაქე განახორციელებს ზარს და იგი მიიღებს არა მხოლოდ კონსულტაციას და განმარტებას, არამედ ზარის ავტომატიზაციის შედეგად მიიღებს მზა – შესრულებულ სამუშაოს. ამგვარად, უნდა მივიღოთ, ერთი მხრივ, ეფექტური მუნიციპალური ცხელი ხაზი და, მეორე მხრივ, კმაყოფილი მოქალაქე.

მნიშვნელოვანია ასევე მუნიციპალური ცხელი ხაზის აღნიშნული მომსახურების გამართვა, ტესტირება და დანერგვა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში.

ქმედებათა მოტივაცია საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას

ქეთევან აბაშვილი, თეონა ბიძინაშვილი-რუსიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

getevanabashvili@gmail.com, teona.bidzinashvili.1993@gmail.com

რეზიუმე

ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზა, რომელიც უკავშირდება ა. სმიტს, მდგომარეობს იმაში, რომ ინვესტორის, ეკონომიკური აგენტის ქმედებას განსაზღვრავს მოგების მაქსიმიზაცია. ასეთ ქმედებას უწოდებენ რაციონალურს, შესაბამის მოდელს კი რაციონალური ქმედების (ქცევის) მოდელს. ნაშრომში განხილულია სარგებლიანობის გაფართოებული ცნება, რაციონალური ქცევის შეფასებისათვის.

იტ-პროცესები თანამედროვე ორგანიზაციაში

მ. თევდორაძე, თ. რუხაძე, მ. დარჩიაშვილი,

თ. ჭიღლაძე, ს. დარჩია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
medeat@gtu.ge, tamtarukhadze@gtu.ge, t.chigladze@gtu.ge,
darchiashvili.mariami@gmail.com, darchiasamson@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე ორგანიზაცია ხასიათდება მომატებული მოთხოვნებით ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) მიმართ. ამ მიზეზით იტ მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული ბიზნესის და მისი ბიზნეს-პროცესების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. როგორც აჩვენებს რეალობა, ბიზნესის მიზნების და მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ერთ-ერთი ყველაზე მეტად ორიენტირებული არის იტ-ის მართვისადმი მიდგომა - ITSM. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემუშავებულია მასთან შეთავსებადი მთელი რიგი სტანდარტი და რეკომენდაცია, როგორც არის: ITIL, Cobit, S3M, ASL, MOF.

ყოველივე აღიშნული იძლევა საშუალებას ორგანიზაციაში ჩამოყალიბდეს იტ-პროცესები ოპტიმალური სახით, რაც ფრიად მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიზნესისათვის. ნაშრომში წარმოდგენილია იტ-ის ისეთი ძირითადი პროცესები, როგორც არის: ინციდენტების მართვის, ცვლილებების მართვის, მომსახურების დონის მართვის, პრობლემების მართვის. დახასიათებულია მათი არსი, მოქმედებები, პოლიტიკები, პრინციპები და ძირითადი მაჩვენებლები.

იმისათვის, რომ ოპტიმალურად იყოს აგებული იტ-დეპარტამენტის მუშაობა და იტ-ის ბიზნეს-პროცესები, აუცილებელია შემდეგი ეტაპების განხორციელება: იტ-ის მისიის, ხედვის და მიზნების ჩამოყალიბება; იტ-სტრატეგიის შემუშავება; იტ-პროცესების დაგეგმვა. განიხილება იტ-ის ბიზნეს-პროცესების ჩამოყალიბების ორი მიდგომა: სტანდარტული, როდესაც პროცესში აისახება ფუნქციების შესრულების თანმიმდევრობა - ანუ ხედვა მომხმარებლის მხრიდან; და მეორე, - მოიცავს მონაცემთა ნაკადების მეტ ფორმალიზაციას, რაც იძლევა ავტომატიზაციის უკეთეს საშუალებას - ანუ ხედვა თავად იტ-ის განყოფილების მხრიდან.

განიხილება მართვისადმი ITSM მიდგომის დროს შესაძლო ძირითადი პროცესები, მოყვანილია ის ძირითადი კომპონენტები,

რომელიც უნდა გააჩნდეს იტ-ის ბიზნეს-პროცესს: პროცესის მიზანი, პროცესის მფლობელი, პროცესის შედეგიანობის კვანძოვანი მაჩვენებლები, პროცესის მომწოდებლები, შეზღუდვები დროსა და რესურსებში, პროცესის ვარიანტები, პროცესის ლოგიკა.

საწარმო-ორგანიზაციის მართვის არქიტექტურული მოდელები

**მ. თევდორაძე, თ. რუხაძე, მ. სალთხუციშვილი,
ნ. წულუკიძე, თ. ალიბეგაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
medeat@gtu.ge, tamtarukhadze@gtu.ge, saltkhutsishvilimaia08@gtu.ge,
ninotsulukidze91@gmail.com, tazoalibegashvili@gmail.com

რეზიუმე

განიხილება მსხვილ საწარმოში მართვისადმი თანამედროვე მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია არქიტექტურული მოდელების გამოყენებაზე. წარმოდგენილია მიზეზი, რომლის გამო აუცილებელი გახდა ამ არქიტექტურული მოდელების გამოყენება, რაც განპირობებულია იტ-ს როლის ამადლებით წარმოების ფუნქციონირებაში. მოყვანილია საწარმოს არქიტექტურის ძირითადი შემადგენელი კომპონენტები, როგორცაა: სტრატეგიის არქიტექტურა, ბიზნეს-არქიტექტურა, სისტემური არქიტექტურა. ახსნილია თითოეული კომპონენტის ძირითადი არსი და დანიშნულება. გაშლილია სისტემური არქიტექტურის ცნება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მონაცემთა, დანართების და ტექნოლოგიურ არქიტექტურებს.

წარმოდგენილია საწარმოს არქიტექტურის შემუშავების მეთოდები, თანმიმდევრობა - ეტაპები. ყოველივე აღნიშნული განიხილება არქიტექტურის სასიცოცხლო ციკლის ფონზე. განხილულია ის სირთულეები, რომლებსაც ადგილი აქვს არქიტექტურის შემუშავების პროცესში და მათი გადაჭრის გზები, მონიტორინგის საკითხები. მოყვანილია ის უპირატესობები რომელსაც იძლევა მართვაში არქიტექტურული მოდელების გამოყენება. განხილულია ცნობილი მოდელები, სხვაობა მათ შორის და თავისებურებანი.

მართვის თანამედროვე მეთოდები

ე. დადიანი¹, მ. ნებიერიძე¹, დ. აფციაური¹, ვ. გუდავა²

1-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2- ს.ს.„გერმანული ჰოსპიტალი“

dadiani.eka@gmail.com, mariamneberidze90@gmail.com,

dodoaptsiauri@gmail.com, vgudava14@gmail.com

რეზიუმე

მოხსენებაში დახასიათებულია იტ-ის მართვისადმი დღეს არსებული მიდგომები, ჩატარებულია მათი შედარებითი ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერთ-ერთ თანამედროვე მიდგომას – ITSM-ს, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ფუნქციონალურ/რესურსულ მიდგომისაგან და რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესების საუკეთესო სახით მხარდაჭერაზე. ამისათვის განხილულია ITSM-ის არსი, მოყვანილია იტ-სერვისის განმარტება და იტ-სერვისების კლასიფიკაცია, მოყვანილია პროცედურა, რომელიც უნდა განხორცილდეს, რათა იქნას განსაზღვრული ესა თუ ის იტ-სერვისი და შეიქმნას მათი კატალოგი, მოყვანილია იტ-სერვისები ღირებულების გაანგარიშების მეთოდიკა. ასევე დახასიათებულია ცნება SLA, რომელსაც ენიჭება უპირველესი მნიშვნელობა იტ-სერვისების განსაზღვრის და მიწოდების დროს.

გარდა ამისა, მოხსენებაში დახასიათებულია ინფორმაციული სისტემის ხარჯების გაანგარიშების თანამედროვე მიდგომა ITSM/ITIL, რომელიც განსხვავებით ტრადიციული ეკონომიკურ-ფინანსური მეთოდებისა, ამახვილებს ყურადღებას ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სპეციფიურ ხარჯებზე. აღნიშნული მეთოდი იძლევა საშუალებას ზუსტად შეფასდეს ინფორმაციულ სისტემასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც ფრიად მნიშვნელოვანია მისი ეფექტიანობის შესაფასებლად. ამასთან დაკავშირებით, მოხსენებაში დახასიათებულია ხარჯების კატეგორიები და ტიპები, მათი აღრიცხვის მიდგომები. აღნიშნულია მეთოდის უპირატესობები და პრობლემური მხარეები.

**ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნეს-
პროცესების იდეოლოგიის დანერგვა უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებაში**

**ნ. ლოლაშვილი, ა. ბაჯიაშვილი, ლ. ლობჯანიძე,
თ. ობოლაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
n.lolashvili@gtu.ge, n.bajashvili@gtu.ge, lobzhanidzeli08@gtu.ge,
t.obolashvili@gmail.com

რეზიუმე

მოსხენებაში შემოთავაზებულია ბიზნეს-პროცესების მართვის (BPM) იდეოლოგიის დანერგვის საკითხები უმაღლეს სასწავლებელ დაწესებულებაში (უსდ). აღნიშნულია, რომ საქართველოში უსდ-ის ფუნქციონირებაზე და მენეჯმენტზე გავლენას ახდენს სამი ძირითადი ფაქტორი: სახელმწიფოს მოქმედებები, რომელიც მიმართულია განათლების მოდერნიზაციაზე, საბაზრო ურთიერთობების არსებობა განათლების სფეროში და ქვეყნის განათლების სისტემის ჩართვა მსოფლიო განათლების სისტემაში. ამ შემთხვევაში სულ უფრო მეტად იზრდება კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ზუსტად ბიზნეს-პროცესების მართვის იდეოლოგიის დანერგვა უსდ-ში უზრუნველყოფს მისი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, ამცირებს დროით და მატერიალურ დანახარჯებს. ამასთან ერთად ბიზნეს-პროცესების იდეოლოგიის დანერგვა ზრდის უსდ-ის კონკურენტუნარიანობას.

აღნიშნულია, რომ უსდ-ში მაღალი დონის ხარისხის მომსახურების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ ბიზნეს-პროცესების დანერგვით და ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების საყოველთაო გამოყენებით. დღეს უდაოა ის ფაქტი, რომ აუცილებელია უსდ-ში სრულმასშტაბიანი ელექტრონული განათლების დანერგვა (მულტიმედია პროგრამების, სასწავლო კურსების და ელექტრონული სახელმძღვანელოების, დისტანციური სწავლების და ინტერნეტ-განათლების, ელექტრონული ბიბლიოთეკის). მაგრამ ამას ყველაფერს აქვს სასურველი შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მიმდინარეობს უსდ-ში ბიზნეს-პროცესების დანერგვის ფონზე.

Data mining კონცეფცია, გამოყენება და მონაცემთა დამუშავების ეტაპები

დავით კაპანაძე, თეა თოდუა, თალიკო ჟვანია, მზია კიკნაძე
m.kiknadze@gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დიდი მოცულობის მონაცემების ეფექტურად დამუშავება მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა. მონაცემთა მეცნიერება, ბოლო ათი წლის განმავლობაში, მსოფლიოში როგორც დარგი ძალზედ პოპულარული გახდა. მოხსენებაში განხილულია მონაცემთა მეცნიერების აქტუალობის, კონცეფციების და პრინციპების, მონაცემების მოძიების, დამუშავების და მოდელირების მონაცემთა შენახვის არსის, ღირებულების და მისი გამოყენების შესახებ საკითხები.

განხილულია Data Mining-ის ეტაპები, რომლებიც გამოიყენება მონაცემების დამუშავებისა და მათგან ცოდნის მიღებისათვის.

წარმოდგენილია მოსაზრებები და რეკომენდაციები იმ ალგორითმებისა და ტექნიკური საშუალებების შესახებ, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ავაწყოთ სისტემები. მათ შეეძლება არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ანალიზის საფუძველზე „ჭკვიანი“ გადაწყვეტილებების მიღება.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

მ. თევდორაძე, მ. სალთხუცშვილი, თ. ჭიღლაძე, მ. კაპანაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
medeat@gtu.ge, saltkhutsishvilimaia08@gtu.ge, t.chigladze@gtu.ge,
kapanadze.mariam@gmail.com

რეზიუმე

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უსდ-ის წარმატება შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი მასში ბიზნეს-პროცესების დანერგვით. ამ

შემთხვევაში მართვა შიძლება იყოს განხილული, როგორც ბიზნეს-პროცესების მართვა. ბიზნეს-პროცესები შეიძლება იყოს წარმოდგენილი დეტალიზაციის სხვადასხვა დონით. ამოტომაც უმაღლეს სასწავლებელში გამოიყოფა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მაღალი დონის ძირითადი ბიზნეს-ნაკადი – სასწავლო პროცესის: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი/კონტროლი, კონტროლის შედეგების ანალიზი და რეაგირება. შემდეგ შესაძლებელია აღნიშნული ბიზნეს-პროცესის დაყოფა შესაბამის ქვე-პროცესებად, რომლებიც დახასიათებულია მოხსენებაში. პროცესული მიდგომის დანერგვის დროს მთავარ მოქმედებაა ძირითადი პროცესების დადგენა და კლასიფიკაცია, მათი შემდგომი გაერთიანება პროცესების რეესტრში და მათ შორის კავშირების სქემის შემუშავება.

დღეს სასწავლებლის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მთავარი პროცესების ორიენტაციაზე სტრატეგიული ინიციატივების მხარდასაჭერად. ამის განხორციელების მიზნით ტარდება პროცესების რეინჟინერინგი. ნაშრომში მოყვანილია ის სფეროები, რომლებიც შეიძლება გახდეს რეინჟინერინგის ობიექტი უსდ-ში: ორგანიზაციული სტრუქტურა, სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, უსდ-ის სამეცნიერო საქმიანობა, სწავლა/სწავლების მეთოდები და ფორმები, გამოყენებული სწავლის საშუალებები, სასწავლო დისციპლინები და სხვ. მოხსენებაში ასევე გადმოცემულია მოდელირების როლი პროცესების რეინჟინერინგში. განხილულია ის ძირითადი შედეგები, რომლებსაც იძლევა ბიზნეს-პროცესების დანერგვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში.

ბიზნესპროცესების დაპროექტება და პროგრამირება Agile მეთოდისა და რიგების თეორიის გამოყენებით

ბეჟან გელაძე, გულბათ ნარეშელაშვილი, ირინე მალიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
g.surguladze@gtu.ge, g.nareshelashvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია კორპორაციული მართვის საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინისა და დეველოპმენტის საკითხები Agile Software Development მოქნილი მეთოდოლოგიისა და რიგების თეორიის გამოყენების საფუძველზე.

წარმოდგენილია Kanban მეთოდის ბარათების სისტემით დევლოპერების გუნდური მუშაობის პრინციპები და პრაქტიკები. რიგების თეორიის WinPetsy ინსტრუმენტის გამოყენებით ამ ბიზნესპროცესების მართვის მოდელების აგება და მათი შესაბამისი მხარდამჭერი მულტიპროცესორული ქსელის მახასიათებლების რაოდენობრივი მნიშვნელობების შეფასება მარკოვისა და ერლანგის ფუნქციების საფუძველზე.

მულტიმოდალური გადაზიდვების ლოგისტიკური მენეჯმენტის ობიექტ-ორიენტირებული მოდელირება

გიორგი სურგულაძე, ირაკლი ქარქაძე, არჩილ მჭედლიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
gsurguladze@gmail.com, karkashadzeirakli@gmail.com,
a.mchedlishvili1991@gmail.com

რეზიუმე

განხილულია ტვირთების მულტიმოდალური გადაზიდვების მენეჯმენტის ბიზნეს-პროცესების ავტომატიზებული სისტემის დაპროექტებისა და მისი პროგრამული რეალიზაციის საკითხები.

შემოთავაზებულია სახმელეთო (რკინიგზა, ავტოტრანსპორტი), საჰაერო (ავიაკომპანიები) და საზღვაო (პორტები და ტერმინალები) საპრობლემო სფეროების სისტემური კვლევის და მოდელირების ამოცანები; სისტემის ვებ-პორტალების, მონაცემთა განაწილებული გლობალური ბაზებისა და მომხმარებელთა ინტერფეისების აგების ამოცანების გადაწყვეტა დაპროექტების CASE- და დაპროგრამების ჰიბრიდული და მობილური ტექნოლოგიებით.

აგებულია მულტიმოდალური გადაზიდვის პროცესების სტანდარტულ და არასტანდარტულ მდგომარეობათა დიაგრამები. განხილულია ავიაკომპანიების მენეჯმენტის ავტომატიზაციის, სისტემის ინფრასტრუქტურის საიმედოობის, ავიაციაში თანამედროვე პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის დანერგვის საკითხები. მაღალმწარმოებლური, მტყუნებებისადმი მდგრადი გამოთვლითი სისტემების პროექტირების მეთოდები, რომლის ძირითადი მახასიათებელია სისტემის მაქსიმალური გამტარიანობა.

მულტიმოდალური გადაზიდვების სისტემის პროგრამული აპლიკაცია რეალიზებულია სერვის-ორიენტირებული არქიტექტურით,

კოდის ოპტიმიზაციის ალგორითმების გამოყენებით, რაც, უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას და ცვლილებებზე ადაპტირებადობას. მოხსენების შედეგები ასახულია ავტორების მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში. ამჯერად ეს შედეგები კონფერენციაზე გამოიტანება სადისკუსიო მასალის სახით.

რისკის შეფასების მონტე-კარლოს მოდელში ფაზი სიმრავლის გამოყენება

დალი მაგრაქველიძე, ნინო ჭამიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

d.Magrakvelidze@gtu.ge, nini.chamiashvili@gmail.com

რეზიუმე

მონტე-კარლოს მოდელირება სასარგებლო ინსტრუმენტი რისკიანი საინვესტიციო პროექტების ანალიზისათვის. თუ ჩვენთვის საინტერესო Y ცვლადი არის რამდენიმე სხვა გაურკვეველი ცვლადის რთული ფუნქცია. მაშინ Y -ის მოსალოდნელი მნიშვნელობა ზოგადად არ უტოლდება ფუნქციის მნიშვნელობას განუზღვრელი ცვლადების მოსალოდნელ მნიშვნელობისათვის. მონტე-კარლოს გამოყენების საშიშროებაა არა ცდომილების შეფასების ალბათური ხასიათი, არამედ ის, რომ ცდომილების ალბათური შესფასება უფრო ხშირად ხდება იმ შემთხვევითი რიცხვების სენსორების თვისებების გათვალისწინებით, რომლებსაც სინამდვილეში ადგილი არ აქვს.

სანდოობის ინჟინერიისა და რისკის შეფასების ფარგლებში, დიდი როდენობის ექსპერიმენტული სამუშაოს ჩატარების მიუხედავად, მონტე-კარლოს ანალიზი, რომელშიც გამოყენებულია ალბათობის სიმკვრივის ფუნქციის მიხედვით გაანგარიშება, კვლავ შეზღუდულია.

შემოთავაზებულია ამ შეზღუდვის ალტერნატივა – ფაზი რიცხვების გამოყენება, რაც მიზანშეწონილია გაურკვეველი პირობების ამოხსნისას, ე.ი. როდესაც სტატისტიკური მონაცემები არასაკმარისია და მონაცემების მიღებისას ადამიანური სუბიექტობაა ჩართული.

ავტომატიზაციის ვირტუალური მოდელი თევზის წარმოებაში

დავით სონდულაშვილი, ქეთევან კოტრიკაძე, სალომე მუხაშავრია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

songul.david17@gmail.com, k.kotrikadze@gtu.ge,

mukhashavria_sa@gtu.ge

რეზიუმე

საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია აქტუალური საკითხია. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სამუშაო პროცესში ადამიანის ჩართულობა მინიმუმამდე მცირდება. ოპტიმალური შედეგების მისაღწევად, მნიშვნელოვანია საწარმოში არსებული დანადგარებით, პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის წარმოება, მინიმალური დანახარჯებით. ექსპერიმენტების საშუალებით, სხვადასხვა დამუშავების შედეგად, შესაძლებელია მივიღოთ ჩვენთვის სასურველი პარამეტრები. მათ გასაუმჯობესებლად ქარხანაში საჭიროა ჩატარდეს ძვირადღირებული ექსპერიმენტ/გამოცდები.

ვირტუალური ლაბორატორიების მიზანია შეიქმნას ისეთი პლატფორმა, რომელიც იქნება საწარმოში არსებული დანადგარის ანალოგი; შესაძლებელია შემუშავდეს ალგორითმი, რომლის საშუალებითაც აღიწერება რეალური პროცესი. აღნიშნულ მოდელს ექნება რეაქცია ნებისმიერ გარე ფაქტორზე, ექნება იგივე პარამეტრები, რაც აქვს რეალურს და მათი ცვლილება მოგვცემს ვირტუალურად იმავე შედეგს, რასაც მოგვცემდა რეალური დანადგარი.

მოხსენებაში განვიხილავთ ერთ-ერთ ასეთ მოდელს. იგი აგებულია თევზის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესზე და მოიცავს რეალური პროცესის ანალოგ ვირტუალურ მოდელს. მისი მიზანია, დროის და ფინანსური რესურსის მაქსიმალურად დაზოგვა, დაინტერესებულ პირზე საშუალების მიცემა, რომ ტექნოლოგიური პროცესი შეისწავლოს რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმულაციური მეთოდებით, ცვალოს პარამეტრები და ჩაატაროს ექსპერიმენტი.

AGENT-BASED MODELING SIMULATION IN SUPPLY CHAIN RISK MANAGEMENT

Beka Chelidze - International Black Sea University
Irakli Rodonaia - Georgian Technical University
cheqsea@gmail.com, irakli.rodonaia@ibsu.edu.ge

Abstract

Due to the complex nature and numerous interacting factors that contributes to the increased vulnerability of supply chains, traditional methods have been found to be inadequate for Supply Chain Risk Management (SCRM). Agent-Based Modeling and Simulation (ABMS), an agent-oriented approach to model and simulate complex adaptive systems, represents a recent development in supply chain planning that has been regarded highly appropriate for studying risk. Multi-Agent System paradigm views the supply chain as composed of a set of intelligent agents, each responsible for one or more activities in the supply chain and each interacting with other agents in planning and executing their responsibilities management. The risks in SCRM usually originate from uncertainty and volatility of the business environment, as well as disruptive events such as a supply, demand, exchange, and disruption. Demand is the main source of uncertainty in supply chains, but it is not the only one: shipments can be late; suppliers may not be able to deliver in full, etc. In practice, many issues cause the supply chain systems to only be partially observed. A natural framework such problems is the Partially Observable Markov Decision Process (POMDP). Although POMDPs provide principled treatment of state uncertainty, they only consider a single agent. In order to deal with the effects of uncertainty with respect to other agents, this paper considers an extension of the POMDP framework, called decentralized POMDP (Dec-POMDP). The MADP (Multiagent Decision Processes) Toolbox is used to describe and solve this problem by providing the building blocks for developing planning and learning algorithms for existing and novel instances of MADPs. The toolbox is used to support both planning, i.e., settings where the model is given in advance, and reinforcement learning, i.e., settings where no such model is available, but the agents learn to interact during simulations. To compute agents parameters in each state of the planning process the agent-based simulation packages AnyLogic and AnyLogistics are used

Improving Business Process Management by Synthesizing Process Mining Technology and Risk Indicators

Sophia Stomadova

Georgian Technical University
stomadova.sophia@gmail.com

Abstract

Improving the coordination of business processes and related workflows in organizations is an ongoing task for managers. Process mining technology offers an imitation of observation of the implemented process and observation results. It gives a realistic picture based on live, working process data and detects flaws/deviations.

For risk assessment of a given deviation and analytical interpretation of process efficiency, the report presents ways to improve the use of process mining technology. In particular, the ability to synthesize/correlate the motive power of process mining technology - accounting logs, KRI-Key Risk Indicators, and Key Performance Indicators (KPI - Key Performance Indicator). Key risk indicators predict adverse outcomes in the process and enable us to respond in advance. Key indicators of process efficiency allow us to see how effective we are moving towards the goal. Accordingly, the correlation of these indicators with the processes discovered by the process mining technology gives the results of the further action plan, at what point the process needs more effort, the implementation of more control mechanisms or monitoring. The report in a form of a practical example discusses a task, which analyses detected errors, deviation from the process, and failure of control mechanisms by synthesizing process mining technology and risk indicators.

ABOUT THE BEGINNINGS OF ENGINEERING IN GEORGIA

Nato Kavtaradze

Georgian Technical University
nataliaqavtaradze@gmail.com

Abstract

In the article is discussed the bit of three generations of Nikoladzes with the formation and development of engineering in Georgia. The knowledge of the engineering of Niko and Giorgi Nikoladze and the construction work of them done in Georgia became the basement of the progress of the

country. Niko Nikoladze was the first to start coal mining in Tkibuli. The works made by Giorgi Nikoladze's many-sided talents and skills really enrich mathematical and engineering sciences in Georgia. Didube ferromanganese experimental plant and Zestafoni ferroalloy factory began to work with his guidance and direct participation.

The biggest achievement in the development of engineering and building the first artificial satellite in space belongs to famous Georgian mathematician and mechanical engineer — academician Niko Muskhelishvili. At last, the work of the famed son of Georgia, worldwide famous inventor and aircraft designer Aleksandre Nadiradze is the greatest treasure as well for exploring space as in building of strong ballistic rockets. Hence the article is historical, it includes the material that touches upon the era of developing engineering and its perspectives, according to literature sources.

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის მოხსენებათა
თეზისები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. „საინფორმაციო
საზოგადოება და განათლების ინტენსიფიკაციის ტექნოლოგიები“.
თბილისი, 20-22 მაისი, 2021. © „IT-Consulting scientific center“ of GTU,
2021. ISBN 978-9941-8-2620-7

(იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით)

გადაეცა წარმოებას 10..05.2021 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
14..05.2021 წ. ოფსეტური ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი
ნაბეჭდი თაბახი 7. ტირაჟი 100 ეგზ.



სტუ-ს „IT კონსალტინგის ცენტრი“ (თბილისი, მ. კოსტავას 77)

ISBN 978-9941-8-2620-7

